ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 76

24 იანვარი 2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ასევე ესწრებოდა:
თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე; ლევან მიქავა

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო- ირაკლი თავართქილაძე, თამარ მელიქიშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (#11-01200211983 22.01.2020წ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. (№15-0320022134-03)
2. ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობისთვის“ (ს/ნ:204535654) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე (№12-03200141-03)

3. 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-308-26-19647 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე (№12-0320022178-03)

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ .(№12-032002310-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (#11-01200211983 22.01.2020წ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით საბურთალოს რაიონის გამგეობას სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება ევალება პირველ კვარტალში, რისთვისაც გამგეობას „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამის არაფინანსური აქტივების მუხლში საკმარისი თანხები არ აქვს, ხოლო პროგრამის „საქონელი და მომსახურების" მუხლში დაგეგმილი იყო გამწვანების ღონისძიებებზე 80 000 ლარი, რის ათვისებასაც ვერ შეძლებენ. შესაბამისად პირველად კვარტალში 30 000 ლარი გადმოაქვთ „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან- „არაფინანსური აქტივების" მუხლში. ასევე საკრებულოს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 10 იანვრის №3/1580-1* საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 9 იანვრის „მხარეთა მორიგების გამო" საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების თანახმად, გადასახდელი აქვს ფულადი ანაზღაურება 43750 ლარი. არსებული რესურსი შესაბამის მუხლში არასაკმარისია, რის გამოც საქონელი და მომსახურების მუხლს ემატება 38 000 ლარი.

მომხრე-8

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით** გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგეობა, რაიონში სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობისათვის, „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამაში (02 09 15) ითხოვს კვარტალურ ცვლილებას და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 იანვრის №3/1580-19 განჩინების აღსრულების მიზნით ითხოვს პროგრამაში (10 01) კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას.**

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობისთვის" (ს/ნ:204535654) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა ირაკლი თავართქილაძემ.

შპს „უორვიკშირ ესთეითის საქართველოს წარმომადგენლობამ" (ს/ნ:204535654) მოითხოვა ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ის მიმდებარედ არსებული 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.15.05.008.037) იჯარით გადაცემა, მსუბუქი კონსტრუქციის (სატვირთო ამწე-ლიფტის) მოსაწყობად. განცხადებით წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული იურიდიული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი №42-ში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: №01.15.05.008.028).

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განიხილება მოთხოვნილი 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით გადაცემა 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 900 ლარის ოდენობით.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: 2016 წლის 13 მაისს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-308-26-19647 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა ირაკლი თავართქილაძემ.

ირაკლი თავართქილაძის თქმით, შპს „თაბორი რიზორსთმა" 2016 წელს ელექტრონულ აუქციონზე შეიძინა საკ/კოდით 01.18.01.002.160 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი იმ პირობით, რომ სამშენებლო ნებართვიდან 36 თვის ვადაში, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 თვეში, უნდა განეხორციელებინა არანაკლებ 80 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი, რომლის განაშენიანების ფართი ტექნიკურ-დამხმარე ფართის გარდა უნდა ყოფილიყო 20 000 კვმ. ასევე უნდა მოეწყო ავტოსადგომი არანაკლებ 50 ერთეული სატრანსპორტო საშუალებისათვის და ერთერთი პირობა იყო ასევე არსებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განახლება და რეკრეაციული სივრცის მოწყობა. სამშენებლო ნებართვა გაიცა 2017 წლის 22 მარტს, ხოლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულებულიყო 2020 წლის მარტამდე. დღეისათვის მიწის ნაკვეთის ღირებულება სრულად გადახდილია, შესრულებულია ტერიტორიის კეთილმოწყობის ვალდებულებაც. მხოლოდ 80 ნომრიანი სასტუმროს ნაცვლად მიმდინარეობს 177 ნომრიანი სასტუმროს და 171 ადგილიანი ავტოსადგომის მშენებლობა, რადგან სასტუმროს კომპლექსს დაემატა სხვადასხვა სივრცეების მოწყობა და წარმოიშვა მშენებლობის დასრულების ვადების გაზრდის საჭიროება. უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიამ უკვე განახორციელა 14 მლნ აშშ-ს ინვესტიცია და დამატებით იგეგმება ათეული მლნ აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება. აქედან გამომიდინარე კომპანია ითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გაზრდას 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) მიერ მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე.

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის პრიორიტეტს წარმოადგენს დედაქალაქის ურბანული სატრანსპორტო ქსელისა და ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განვითარება და განახლება, რაც უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებას. დღესდღეობით, დედაქალაქში მიკროავტობუსების ქსელის ოპერირებას ოთხი კომპანია ახორციელებს -

შპს „თბილლაინი“, შპს „კაპიტალ გრუპი“, შპს „თბილ ქარი“ და შპს „ფაბლიქ ქარი“. მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2031 წლის 1 მარტამდე. მერიას, „Systra Sa France“ და შპს „Spectrum Consulting“-ის ერთობლივ საწარმოს შორის 2018 წლის 29 მარტს დადებული ხელშეკრულების ფარგლებში („ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ პროექტი - „საქართველო - საავტობუსო ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატური გადახდის სისტემის დანერგვის შესახებ“) განხორციელებული სატრანსპორტო კვლევის შედეგად დადგენილია, რომ არსებული და დაგეგმილი სატრანსპორტო ქსელის ფარგლებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბაზარზე მნიშვნელოვანია მიკროავტობუსების როლი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ტრანსპორტის არათუ შემცირება, არამედ გაზრდა. ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას გამოყენებული მიკროავტობუსების შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესების და მგზავრთა გადაყვანისას კომფორტის გაზრდის მიზნით, აუცილებელია მიკროავტობუსების პარკის ეტაპობრივი ჩანაცვლება,რაც საჭიროებს დიდი ოდენობით კაპიტალური ხარჯების გაწევას. აუდიტორული კომპანიის, შპს „არესემ საქართველო“ (ს/კ: 202449207) მიერ თითოეული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ მომზადებული წერილებით დადასტურებულია, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული კომპანიების შემოსავლები არაადეკვატურია მათ მიერ გაწეულ ხარჯებთან მიმართებით. შესაბამისად, მოკლებული არიან შესაძლებლობას შეისყიდონ ახალი მიკროავტობუსები. მიკროავტობუსების ჩანაცვლების გადაუდებელი საჭიროებისა და კომპანიების რთული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ამ ეტაპზე უზრუნველყოს დაახლოებით 300 ერთეული მიკროავტობუსის შესყიდვა, რის შედეგადაც მგზავრების მომსახურება განხორციელდება მუნიციპალიტეტის კუთვნილი მიკროავტობუსებით.

კომისიის წევრების შეკითხვებზე ირაკლი თავართქილაძენ განმარტა, რომ მომავალში თითოეული კომპანია თავად უზრუნველყოფს დარჩენილი მიკროავტობუსების პარკის ეტაპობრივ ჩანაცვლებას და მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი მიკროავტობუსების სრულად გამოსყიდვას.

მომხრე-8

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიამ დადებითად შეაფასა და რეკომენდაცია მისცა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია